

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №354

2021 წლის 13 ივლისი

ქ. თბილისი

შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების დამტკიცების შესახებ

მუხლი 1

„შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები“ მის დანართებთან (დანართი I – „საქართველოში დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი მუნიციპალიტეტებისთვის მინიჭებული საერთო კლიმატური ზონის მიხედვით“, დანართი II – „შენობების ტიპების, ევროსტატის შენობების ტიპების კლასიფიკაციის შესაბამისი დეტალური ქვეკატეგორიზაცია“) ერთად.

მუხლი 2

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2022 წლის 1 მარტამდე უზრუნველყოს ამ დადგენილების პირველი მუხლით გათვალისწინებული „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების“ მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საექსპერტო დასკვნის მომზადებაზე უფლებამოსილი ექსპერტის მიმართ მოთხოვნების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნებში“ სათანადო ცვლილების პროექტის დასამტკიცებლად წარმოდგენა.

მუხლი 3

- ეს დადგენილება, გარდა ამ დადგენილების პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
- ამ დადგენილების პირველი მუხლი ამოქმედდეს 2022 წლის 30 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მიზანი

შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების (შემდგომ „ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები“) მიზანია განისაზღვროს შენობის, შენობის ნაწილების ან შენობის ელემენტების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნები, ასევე შენობის საინჟინრო-ტექნიკური უზრუნველყოფის სისტემების, მათი მონტაჟის მიმართ მინიმალური მოთხოვნები, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება და ხარჯის ეფექტურობა, შენობაში გათვალისწინებული კლიმატური პირობების შესანარჩუნებლად და სათბურის გაზის ემისიების შესამცირებლად.

მუხლი 2. მოქმედების სფერო

- ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები ვრცელდება ყველა ახალ შენობაზე, (იმ ახალ



მშენებლობაზე, რომელზეც მშენებლობის ნებართვის მისაღებად განცხადება წარდგენილი იქნება 2022 წლის 30 ივნისის შემდეგ) ახალი შენობის ნაწილსა და ახალი შენობის ელემენტზე, ხოლო მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის შემთხვევაში – აგრეთვე, არსებულ შენობასა და არსებული შენობის ნაწილზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ მოთხოვნების გამოყენება შენობის ექსპლუატაციის პერიოდში ხარჯეფექტური არ იქნება. ხარჯეფექტურობის გამოთვლა ხორციელდება „შენობების, შენობების ნაწილების ან შენობების ელემენტების ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების ხარჯოპტიმალური დონეების გამოთვლის შედარებითი მეთოდოლოგიით“, რომელიც მტკიცდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით. ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები უნდა იქნეს გამოყენებული:

ა) ინვესტიციების შეფასებისას, დაგეგმვის, ახალი მშენებლობისა და მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის წინასწარი დაპროექტების დროს;

ბ) არქიტექტურული და საინჟინრო-ტექნიკური დაპროექტების ეტაპზე. შესაბამისი სამშენებლო დოკუმენტები და ტექნიკური სპეციფიკაციები, მშენებლობის ნებართვის მისაღებად მოთხოვნილი დოკუმენტების პაკეტთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი;

გ) სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების, ზედამხედველობის, სამუშაოების მიღებისა და შემოწმების, ექსპლუატაციაში გაშვების, მასალებისა და მოწყობილობების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის დროს;

დ) ექსპლუატაციისა და ტექნიკური მომსახურების დროს.

2. ენერგეტიკული მახასიათებლებისთვის დადგენილი მინიმალური მოთხოვნების მისაღწევად მნიშვნელოვანი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულება შეიძლება განხორციელდეს ეტაპობრივად, როგორც შენობის კონსტრუქციული ელემენტების ერთობლიობის ან/და საინჟინრო-ტექნიკური სისტემების განახლების დროს, ასევე, სადაც ეს შესაძლებელია ერთდროულად.

3. ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები სავალდებულოა მშენებლობის განმახორციელებელი ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისთვის.. ამასთან, დასაშვებია ენერგოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებთან შედარებით უფრო გაუმჯობესებული ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნების გამოყენება. შენობების შესაბამისი კატეგორიები და ქვეკატეგორიები მოცემულია II თავის ცხრილ 1-ში.

4. ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება „შენობების ენერგოეფექტურობის შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შენობებზე.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

წინამდებარე ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) **გათბობის ან გაგრილების ან ცხელწყალმომარაგებისთვის მოხმარებული ენერგია** – საყოფაცხოვრებო სივრცის სასარგებლო ფართობის გათბობა-გაგრილებისათვის ან ცხელი წყლით მომარაგების სისტემის მიერ მოხმარებული ენერგია, რათა დააკმაყოფილოს გათბობა-გაგრილების (მათ შორის, ტენის გამოშრობისათვის) ან ცხელწყალმომარაგებისათვის საჭირო ენერგიაზე მოთხოვნა;

ბ) **გამოთვლილი ენერგეტიკული მახასიათებლები** – მიწოდებული ენერგიის მიხედვით, შენობების გათბობის, გაგრილების, ვენტილაციის, ცხელწყალმომარაგების და განათების უზრუნველსაყოფად, შეწონვის მეთოდით გამოთვლილი ენერგეტიკული მახასიათებლები;

გ) **გარდაქმნის ეფექტურობის კოეფიციენტი (COP)** – თბური ტუმბოს ეფექტურობის მაჩვენებელი სპეციფიკური წყაროსა და სითბოს შთანთქმის ტემპერატურების გათვალისწინებით და წარმოადგენს მიღებული სითბოს გამომუშავებისა და საჭირო სიმძლავრის შეფარდებას;

დ) **გარდაქმნის სეზონური კოეფიციენტი (SCOP)** – ელექტროენერგიაზე მომუშავე თბური ტუმბოს ჯამური ეფექტურობის კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება გათბობის სეზონისთვის,



გათბობისათვის საჭირო წლიური მოთხოვნისა და გათბობისათვის საჭირო წლიური ენერგომომხმარების თანაფარდობით;

ე) **გაცემული ენერგია** – შენობის საინჟინრო-ტექნიკური სისტემების მიერ, შეფასების ზღვრებში, მოწოდებული ენერგია, თითოეული ენერგიაშემცველის მიხედვით;

ვ) **დამხმარე ენერგია** – შენობის საინჟინრო-ტექნიკური სისტემების მიერ მოხმარებული ელექტრული ენერგია, რომელიც ეხმარება ენერგიის ტრანსფორმაციას, რათა დაკმაყოფილდეს შენობის ენერგომომთხოვნები. აღნიშნული მოიცავს ენერგიას: ვენტილატორებისთვის, ტუმბოებისთვის, ელექტრომომწობილობებისთვის და სხვა. ვენტილაციის სისტემის მიერ ჰაერის ტრანსპორტირებისთვის საჭირო ელექტროენერგიის მოხმარება არ განიხილება როგორც დამხმარე ენერგია, არამედ განიხილება როგორც ვენტილაციის მიერ მოხმარებული ენერგია;

ზ) **ენერგოეფექტურობის კოეფიციენტი (EER)** – გაგრილების სისტემის სიმძლავრის თანაფარდობა სისტემის მიერ მუშაობის დროს მოხმარებულ ენერგიასთან;

თ) **ენერგოეფექტურობის სეზონური კოეფიციენტი (SEER)** – ჰაერის კონდიციონერების ან ჩილერის ჯამური ენერგოეფექტური კოეფიციენტი, რომელიც გამოითვლება გაგრილებისათვის საჭირო სეზონისთვის როგორც „ყოველწლიური გაგრილებისათვის საჭირო მოთხოვნის მაჩვენებლის“ თანაფარდობა გაგრილებისათვის საჭირო წლიურ ენერგომომხმარებაზე;

ი) **ემისია (გათბობა ან გაგრილება)** – გათბობის ან გაგრილების საინჟინრო-ტექნიკურ ქვესისტემებში მიმდინარე პროცესი, როდესაც სითბო თერმულად კონდიცირებულ სივრცეს პირდაპირ მიეწოდება/აერთმევა კომფორტის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად;

კ) **ემისიის სისტემა** – საინჟინრო-ტექნიკური ქვესისტემის მოწყობილობები და დამხმარე კომპონენტები, რომლებიც ახორციელებენ ემისიის პროცესს;

ლ) **ემიტერი** – ტექნიკური ხელსაწყო (ემისიის სისტემის ბოლო ელემენტი, მაგ: რადიატორი, ფანკოილი, კონვექტორი, სავენტილაციო ცხაურა და ა.შ.), რომლის მეშვეობითაც უშუალოდ ხდება ენერგიის გაცვლა სივრცეში სპეციფიკური მოთხოვნების შესაბამისად (ძირითადად კომფორტის მისაღწევად);

მ) **ენერგიაშემცველი** – ნივთიერება, ფიზიკური მოვლენა ან უნარი, რომელიც შეიძლება იყოს გამოყენებული მექანიკური მუშაობის შესასრულებლად, სითბოს მისაღებად ან ქიმიური და ფიზიკური პროცესისთვის (მაგ., გაზი, ელექტროენერგია, ორთქლი, ცხელი წყალი, ნავთობი, სხვა).

ნ) **ვენტილატორის კუთრი სიმძლავრე (SFP)** – ვენტილატორის ფუნქციონირებისთვის საჭირო ელექტრული სიმძლავრის დამოკიდებულება/შეფარდება ცირკულირებადი ჰაერის რაოდენობასთან;

ო) **თბოგადაცემის კოეფიციენტი ანუ U სიდიდე** – სტაციონალური რეჟიმის პირობებში სითბოს ნაკადის შეფარდება ფართობთან და შემომზღუდი კონსტრუქციის შიგა და გარე ზედაპირების ტემპერატურათა სხვაობასთან;

პ) **თერმულად არაკონდიცირებული სივრცე** – ოთახი ან შემოსაზღვრული სივრცე, რომელიც არ არის თერმული კონდიცირებული სივრცის ნაწილი [მ³];

ჟ) **თერმული გარსის ფართობი** – შენობის გარსის ყველა ელემენტის საერთო ფართობი [მ²], რომელიც მოიცავს გასათბობ და გასაგრილებელ სივრცეებს, საიდანაც პირდაპირ ან ირიბად ხდება თბური ენერგიის გადაცემა ფართობის შიგნით ან გარე მიმართულებით;

რ) **თერმულად კონდიცირებული სივრცე** – გასათბობი ან/და გასაგრილებელი სივრცე [მ³];

ს) **კონდიცირებული სივრცე** – ოთახი ან შემოსაზღვრული სივრცე, რომელზეც ვრცელდება შენობის ენერგეტიკული მახასიათებლების (EPB) – ერთი ან რამდენიმე მოთხოვნა;



ტ) მართვის მოწყობილობა – თვითფუნქციონირებადი მოწყობილობა, რომელიც დამატებითი ენერჯის საშუალებით ან მის გარეშე, მითითებული მაჩვენებლების ფარგლებში უნარჩუნებს სისტემას ფიზიკურ პარამეტრებს როგორცაა ტემპერატურა, ტენიანობა და სხვა;

უ) მიწოდებული ენერჯია – თითოეული ენერჯიაშემცველის მიერ გაცემული ენერჯია, რათა დააკმაყოფილოს გათვალისწინებული ენერჯომოხმარება ან აწარმოოს გაცემული ენერჯია;

ფ) მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია – შენობის გარსის ზედაპირის 25%-ზე მეტის რეკონსტრუქცია;

ქ) შენობის კონსტრუქცია (კონსტრუქციული ელემენტები) – შენობის შემადგენელი ყველა ფიზიკური ელემენტი, გარდა შენობის საინჟინრო-ტექნიკური სისტემებისა (მაგ., სახურავი, კედლები, იატაკი, კარები, კარიბჭეები და შიდა ტიხრები);

ღ) შეფასების ზღვარი – ზღვარი, სადაც გამოითვლება ან იზომება მიწოდებული ან გაცემული ენერჯია;

ყ) ჰაერის ვენტილაციისთვის მოხმარებული ენერჯია – ჰაერის მიმოცვლისა და სითბოს აღდგენისათვის, ვენტილაციის სისტემის მიერ მოხმარებული ელექტროენერჯია. ეს არ მოიცავს ჰაერის წინასწარი გათბობის ან გაგრილებისთვის და ასევე დატენიანების სისტემის მიერ მოხმარებულ ენერჯიას.

მუხლი 4. სიმბოლოები და აბრევიატურები

წინამდებარე ენერჯოეფექტურობის მინიმალურ მოთხოვნებში გამოყენებულ სიმბოლოებსა და აბრევიატურებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

სიმბოლოები	რაოდენობა	ერთეული
A	ფართობი	მ ²
g	შენობის ელემენტის ჯამური მზის ენერჯის რადიაციული სითბოს ნაკადის გატარების კოეფიციენტი	-
N	ნომერი	1
P	სიმძლავრე	კვტ, ვტ
q _v	(მოცულობითი) ჰაერის ნაკადი	მ ³ /წთ
R	თერმული წინაღობა	მ ² ·K/ვტ
T	თერმოდინამიკური ტემპერატურა(კელვინი)	K
U	თბოგადაცემის კოეფიციენტი	ვტ/(მ ² ·K)
η	ეფექტურობა, გამოყენების კოეფიციენტი	1
θ	ტემპერატურა გრადუს ცელსიუსი	°C
φ	ფარდობითი ტენიანობა	%
λ	თბოგამტარობა	ვტ/(მ·K)

თავი II. ენერჯოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები შენობების ენერჯეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნებისა და საინჟინრო-ტექნიკური სისტემების, მათი მონტაჟის მიმართ და კატეგორიზაცია შენობებისა და კლიმატური ზონების მიხედვით



მუხლი 5. შენობებისა და კლიმატური ზონების კატეგორიზაცია

1. ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნების გამოყენების მიზნით განისაზღვრება შენობების შემდეგი კატეგორიები და ქვეკატეგორიები:

ცხრილი 1. შენობების კატეგორიები და ქვეკატეგორიები

ძირითადი კატეგორია	კატეგორია	ქვეკატეგორია
საცხოვრებელი სახლები	1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები	ერთბინიანი სახლები
		ორბინიანი სახლები
საცხოვრებელი სახლები	2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები	სამ და მეტბინიანი სახლები,
		საერთო საცხოვრებელები, თავშესაფრები
არასაცხოვრებელი სახლები	3. ადმინისტრაციული შენობები	საოფისე, სასამართლო, პოლიციის, ბიბლიოთეკის, სახანძრო შენობები
	4. საგანმანათლებლო დაწესებულებების შენობები	საბავშვო, ბაგა-ბაღისა და სკოლის შენობები
		საგანმანათლებლო და კვლევითი დაწესებულებების არაადმინისტრაციული შენობები
	5. სამედიცინო დაწესებულებების შენობები	საავადმყოფოს და სამედიცინო დაწესებულებების შენობები
		სხვა სამედიცინო დაწესებულებების შენობები
	6. სასტუმროები და საზოგადოებრივი კვების ობიექტები	სასტუმროს შენობები
		სხვა, მცირე დროით განთავსების ანდა საზოგადოებრივი კვების ობიექტების შენობები
	7. სპორტული დანიშნულების შენობები	სპორტული დარბაზები
	8. საბითუმო და სავაჭრო შენობები	საბითუმო და სავაჭრო შენობები
9. ენერჯის მომხმარებელი სხვა დანიშნულების შენობები	სხვა ნაგებობები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული	

შენიშვნა: ცხრილ 1-ში მოცემული ქვეკატეგორიების დეტალური სია ასახულია II დანართში – „შენობების ტიპების, ევროსტატის შენობების ტიპების კლასიფიკაციის შესაბამისი დეტალური ქვეკატეგორიზაცია“) ევროსტატის კლასიფიკაციის შესაბამისად. II დანართში ასევე მოცემულია იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზეც ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნები არ ვრცელდება.

2. შენობების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნები განსაზღვრულია ცხრილ 2-სა და ენერგოეფექტურობის მინიმალური მოთხოვნების I დანართში საქართველოში დასახლებული პუნქტების საერთო კლიმატური ზონის მიხედვით.



ცხრილი 2. საქართველოში დასახლებული პუნქტების ჩამონათვალი მუნიციპალიტეტებისთვის მინიჭებული საერთო კლიმატური ზონის მიხედვით

No	ქალაქი/დასახლება	No	ქალაქი/დასახლება	კლიმატური ზონა
1	ბათუმი	15	ზუგდიდი	1
2	ხელვაჩაური	16	ჩხოროწყუ	
3	ხონი	17	წალენჯიხა	
4	წყალტუბო	18	ხობი	
5	ქუთაისი	19	ზესტაფონი	
6	სენაკი	20	თერჯოლა	
7	ფოთი	21	ბაღდათი	
8	აბაშა	22	ჩოხატაური	
9	ვანი	23	ქობულეთი	
10	სამტრედია	24	მარტვილი	
11	ოზურგეთი	25	სოხუმი	
12	ლანჩხუთი	26	გაგრა	
13	გალი	27	გუდაუთა	
14	გულრიფში	28	ოჩამჩირე	
29	თბილისი	43	ბოლნისი	2
30	მცხეთა	44	მარნეული	
31	ლაგოდეხი	45	საგარეჯო	
32	ცაგერი	46	ამბროლაური	
33	ჭიათურა	47	თელავი	
34	ქედა	48	საჩხერე	
35	გარდაბანი	49	სიღნაღი	
36	რუსთავი	50	შუახევი	
37	გურჯაანი	51	ხულო	
38	ყვარელი	52	გორი	
39	ახმეტა	53	კასპი	
40	ხარაგაული	54	ქარელი	
41	ტყიბული	55	დედოფლისწყარო	
42	ჯავა	56	ყორნისი (ზნაური)	



57	დუშეთი	66	ახალგორი	3
58	ზორჯოში	67	დმანისი	
59	ხაშური	68	თიანეთი	
60	ლენტეხი	69	მესტია	
61	ონი	70	წალკა	
62	ახალციხე	71	ყაზბეგი	
63	ადიგენი	72	ასპინძა	
64	თეთრიწყარო	73	ახალქალაქი	
65	ცხინვალი	74	ნინოწმინდა	

შენიშვნა: ტიპური კლიმატისათვის განკუთვნილ ქალაქებს წარმოადგენენ: ზონა 1 – ქალაქი ბათუმი, ზონა 2 – ქალაქი თბილისი, ზონა 3 – თიანეთი.

ა) იმ შენობებს, რომელთა ადგილმდებარეობა არ არის მითითებული ცხრილი 2-ის მიხედვით, კლიმატის ზონა მიენიჭება იმ მუნიციპალიტეტის მიხედვით, სადაც ეს ქალაქი/დასახლებაა განთავსებული. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელია ზონის შერჩევა დასახლებული პუნქტის ადგილმდებარეობის ზღვის დონიდან სიმაღლის გათვალისწინებით. კლიმატის ზონის დადგენა იმ კონკრეტული დასახლებული პუნქტისათვის, რომელიც კონკრეტულ მუნიციპალიტეტში მდებარეობს, განისაზღვრება ამ მუხლის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების შესაბამისად;

ბ) საქართველოს დასახლებული პუნქტების სრული ჩამონათვალი მათი რეგიონებისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით და მინიჭებული კლიმატური ზონებითა და მათი მდებარეობის სიმაღლით (ზღვის დონიდან) მოცემულია დანართ I-ში;


გ) შენობებზე, რომლებიც მდებარეობენ ზონა 1-ის მუნიციპალიტეტების დასახლებულ პუნქტებში, მაგრამ მათი სიმაღლე (მიწიდან ნულოვანი დონე) ზღვის დონიდან 900 მეტრზე მაღალია, ვრცელდება კლიმატური ზონა 2-ის სპეციფიკური ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნები. ეს წესი არ გამოიყენება ცხრილ 2-ში მითითებულ დასახლებებზე;

დ) ნებისმიერი შენობისათვის, მიუხედავად მისი ადგილმდებარეობისა, როდესაც პირველი სართულის იატაკის ნიშნული ზღვის დონიდან 1500 მეტრზე მაღალია, ვრცელდება კლიმატური ზონა 3-ის სპეციფიკური ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნები. ეს წესი არ გამოიყენება ცხრილ 2-ში მითითებულ დასახლებებზე;

ე) საქართველოს სამშენებლო-კლიმატური ზონირება მოცემულია სურათ 1-ზე.

სურათი 1. საქართველოს სამშენებლო-კლიმატური ზონების რუკა





მუხლი 6. შენობების კონსტრუქციული ელემენტების მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების მოთხოვნები

1. ყველა კატეგორიისა და ქვეკატეგორიის ახალი შენობების/შენობის ნაწილისთვის და ასევე, არსებული შენობების/შენობის ნაწილისთვის დაპროექტების და კონსტრუქციის ელემენტების აშენებისათვის წაყენებული მოთხოვნები განსაზღვრულია ორი დონით.

დონე 1 – მოთხოვნები შენობის კონსტრუქციის ელემენტისათვის (ცხრილი 3).

დონე 2 – შენობის გარსისათვის (ცხრილი 4).

2. შენობებში, რომლებიც თბება, მათი კონსტრუქციის შემომზღუდი ელემენტები უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს (მოთხოვნა – დონე 1):

$$U \leq U_{max} \quad (1)$$

სადაც:

U – შენობის კონსტრუქციის სტრუქტურის ნაწილის თბოგადაცემის კოეფიციენტი [ვტ/მ²·K];

U_{max} – შენობის მატერიალური სტრუქტურის ელემენტის მაქსიმალურად დაშვებული თბოგადაცემის კოეფიციენტი [ვტ/მ²·K].

3. ყველა კატეგორიის შენობისთვის, ინდივიდუალური შენობის კონსტრუქციის სტრუქტურის შემომზღუდი ელემენტის მაქსიმალურად დაშვებული თბოგადაცემის კოეფიციენტი U_{max} [ვტ/მ²·K] კლიმატური ზონების გათვალისწინებით წარმოდგენილია ცხრილ 3-ში, რომელიც განისაზღვრება კლიმატური ზონის მიხედვით კონკრეტული შენობისთვის ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

ცხრილი 3. შენობის კონსტრუქციის თერმული გარსის თითოეული ელემენტის მაქსიმალურად



დასაშვები თბოგადაცემის კოეფიციენტები U_{max} :

№	შენიშნის კონსტრუქციული ელემენტების ტიპი	ზონა 1	ზონა 2	ზონა 3
		U_{max}	U_{max}	U_{max}
		[ვტ/მ ² ·K]	[ვტ/მ ² ·K]	[ვტ/მ ² ·K]
1	გარე ჰაერთან შეხებაში მყოფი შენიშნის გარე კედლები	0,5	0,38	0,25
2	თერმულად კონდიცირებული სივრცის გარე კედლები (მაგ., გამთბარი სარდაფი) მიწასთან შემხები ზედაპირის ჩათვლით	0,65	0,50	0,30
3	თერმულად არაკონდიცირებული სივრცის შიგა კედლები (მაგ., არაკონდიცირებული კიბის უჯრედები, სხვენის ან სახურავის სივრცეები, ავტოფარები) და გამყოფი კედლები	0,65	0,50	0,40
4	თერმული არაკონდიცირებული მიწისქვეშა სივრცის გარე კედლები (მაგ., გაუმთბარი სარდაფი), როდესაც ამ სივრცის ჰაერცვლის ჯერადობა ნაკლებია 30%-ს-ში	0,80	0,70	0,60
5	გარე ჰაერთან შეხებაში მყოფი სახურავის კონსტრუქცია ანდა ვენტილირებულ ან არათბიოზოლირებული სახურავის სათავსისთან შეხებაში მყოფი ჭერი, რომელიც განლაგებულია თერმულად კონდიცირებული სათავსის ზემოთ	0,40	0,30	0,20
6	სახურავის კონსტრუქციის, რომელიც განლაგებულია თბურად არაკონდიცირებული სივრცის ზემოთ, სივრცის ტემპერატურა არ უნდა იყოს <5°C;	0,50	0,38	0,25
7	გრუნტთან შეხებაში მყოფი თერმულად კონდიცირებული სათავსის იატაკი.	0,5	0,38	0,25
8	გარე ჰაერთან შეხებაში მყოფი თერმულად კონდიცირებული სათავსის იატაკი (მაგ. იატაკი თაღოვანი შესასვლელის, გასასვლელის თავზე ან ღია პარკირების ზემოთ არსებული სათავსის იატაკი)	0,40	0,30	0,20
9	არაკონდიცირებულ სივრცესთან (მაგ., სარდაფი, რომელიც არ თბება, ავტოფარები) შეხებაში მყოფი, თერმულად კონდიცირებული სათავსის იატაკი	0,60	0,45	0,30
10	გარე ფანჯარა და შემინული კარი	2,2	1,8	1,8
11	შეკიდული კედლები – შირმები და სხვა გარე შუქგამტარი კომპონენტები, მათ შორის, ფართო მასშტაბიანი, შემინული ფასადი ≥ 600 დახრით	1,8	1,8	1,8
12	სხვა გარე ჰორიზონტალური ან დახრილი შუქგამტარი კომპონენტები: რომლებიც არ არის გათვალისწინებული №10 ან №11 სტრიქონებში	2,5	2,0	1,8
13	შუქგამტარი გარე მყარი კარები	2,75	2,2	2,2
14	თერმულად არაკონდიცირებულ სივრცესთან დამაკავშირებელი კარი შემინვის გარეშე	4,5	3,5	3
15	გარე გორგოლაჭებზე მოძრავი კარი, ავტოფარების კარი, ფრთიანი (სექციური კარი) და სხვა მსგავსი	3	2,5	2,2



ა.ა) დასაშვებია ცხრილ 3-ში მოცემული მაჩვენებლებიდან 10%-მდე გადახრა მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ცხრილ 4-ში მოცემული ინტეგრირებული მაჩვენებლების მოთხოვნები დაცული იქნება. ყველა შემთხვევაში თავიდან უნდა იქნეს აცილებული შიგა ზედაპირის შესაძლო დაბალი ტემპერატურისა და კონდენსაციის რისკები;

ა.ბ) მცირე ზედაპირის მქონე გარე კედლების (მაგ., აივნების შემთხვევაში) თბოგადაცემის კოეფიციენტი (U) შეიძლება 2-ჯერ აღემატებოდეს დაშვებულ მნიშვნელობას, თუ: ასეთი მცირეზედაპირიანი გარე კედლების საერთო ფართი, არ აღემატება მთლიანი შენობის ატმოსფერულ ჰაერთან შეხებაში მყოფი გარე კედლების საერთო ფართის 2%-ს, და არ არსებობს კონდენსაციის წარმოქმნის რისკი;

ა.გ) გარე ატმოსფერულ ჰაერთან შეხებაში მყოფი მცირე ზედაპირის მქონე სახურავის/ჭერის და იატაკის ფართობი, რომელიც არ აღემატება მთლიანი შენობის ატმოსფერულ ჰაერთან შეხებაში არსებულ ზედაპირის საერთო ფართის 2%-ს, თბოგადაცემის კოეფიციენტი – U შეიძლება იყოს 2-ჯერ მეტი, ვიდრე დაშვებული მნიშვნელობა, თუ არ არსებობს კონდენსაციის რისკი;

ა.დ) სახურავის ნებისმიერი ნაწილი, რომლის დახრის კუთხე ტოლია ან აღემატება 60°-ს, ითვლება კედლად;

ა.ე) შუქგამტარი კომპონენტების თბოგადაცემის კოეფიციენტი ითვალისწინებს ვიტრაჟების, სარკმელის ფანჯრის ჩარჩოს მახასიათებლებს. მოთხოვნებიდან გამონაკლისს წარმოადგენს სახანძრო და სხვა სპეციალური დანიშნულების კარებები და ლუკები;

ა.ვ) თბური ხიდების ზემოქმედება, რომელიც მუდმივად თან ახლავს შენობის ელემენტებს, როგორცაა კედლის გადახმის ადგილები ან მსუბუქი ბლოკის კედლების დუღაბით ნალესი ადგილები, აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული შენობის ელემენტის თბოგადაცემის კოეფიციენტის – U სიდიდის გაანგარიშების დროს;

ა.ზ) სითბოს გადაცემა და თბური ხიდები შეფასებულია შენობის გარე ზომების გათვალისწინებით;

ა.თ) შემომზღული კონსტრუქციის ცალკეული ელემენტების თბური ხიდები, როგორებიცაა, კედლები, იატაკი, აივანი, კონსოლი, ჭერი, სახურავი და ფანჯრები და მათი კომბინაციები/შეერთების ადგილები უნდა იყოს დათბუნებული ისე, რომ მათი ხაზოვანი თბოგადაცემის კოეფიციენტი იყოს უმნიშვნელო;

ა.ი) U-ს გაანგარიშება უნდა შესრულდეს: სსტ ენ ისო 6946, სსტ ენ ისო 10077-2, სსტ ენ ისო 14683, სსტ ენ ისო 12631 და ეტალონური სსტ ენ ისო სტანდარტებით. U სიდიდის გამოთვლა ეფუძნება ჯამური თერმული წინააღობის ფორმულას: R_{tot} :

$$U = 1/R_{tot} \quad (2)$$

სადაც:

R_{tot} – არის შენობის გარე კომპონენტის თერმული წინააღობის ჯამური (კუმულატიური) მნიშვნელობა თბური ნაკადის მიმართულებით, ($m^2 K/ ვტ$);

ა.კ) ინტეგრირებული (ჯამური) მოთხოვნები – დონე 2: შენობის თერმული გარსის ელემენტების ჯამური თბოგადაცემის კოეფიციენტის (U value) მნიშვნელობა არ უნდა აღემატებოდეს ცხრილ 4-ში მოცემულ თბოგადაცემის კოეფიციენტის მნიშვნელობებს, კლიმატური ზონების შესაბამისად. იგი უნდა განისაზღვროს კონკრეტული შენობისთვის ამ დადგენილების მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით.



ცხრილი 4. მაქსიმალური დასაშვები ჯამური თბოგადაცემის კოეფიციენტის \bar{U}_{max} -ის მნიშვნელობა შენობის თერმული გარსის ელემენტებისათვის:

კლიმატური ზონა	ზონა 1	ზონა 2	ზონა 3
ერთეული	[ვტ/მ ² ·K]	[ვტ/მ ² ·K]	[ვტ/მ ² ·K]
კედლების \bar{U}_{max} სიდიდე	0,5	0,38	0,25
სახურავის \bar{U}_{max} სიდიდე	0,4	0,3	0,2
იატაკის \bar{U}_{max} სიდიდე	0,5	0,38	0,25
ფანჯრების და კარების \bar{U}_{max} სიდიდე	2,2	1,8	1,8

ბ.ა) შენობის თერმული გარსის სხვადასხვა თბოგადაცემის სიდიდის მქონე ერთგვაროვანი ელემენტების ჯამური თბოგადაცემის (\bar{U}_{max} სიდიდის) მნიშვნელობა უნდა გამოითვალოს შემდეგი ფორმულით:

$$\bar{U} = (\sum_{i=1}^N A_i U_i) / (\sum_{i=1}^N A_i) \quad (3)$$

სადაც:

A_i – არის შენობის თერმული გარსის ჯამური ელემენტის i -ური ნაწილის ზედაპირის ჯამური ფართობი[მ²];

U_i – შენობის თერმული გარსის ჯამური ელემენტის i -ური ნაწილის თბოგადაცემის კოეფიციენტი თბური ხიდების გათვალისწინებით;

N – სხვადასხვა თბოგადაცემის კოეფიციენტის მქონე შენობის ელემენტების ნაწილების ჯამური რაოდენობა სხვადასხვა თბოგადაცემის კოეფიციენტებით.

ბ.ბ) თბური ხიდების ენერგეტიკული შედეგების გავლენა გათვალისწინებული უნდა იყოს თბოდანაკარგების ანგარიშში, შენობის თითოეული ელემენტისათვის. თუ თბური ხიდების თავიდან აცილება შეუძლებელია, მაშინ ელემენტის თბოგადაცემის კოეფიციენტი 5%-ით იზრდება და ამის შემდეგ მოხდება შედარება მე-2 დონის მოთხოვნებთან;



ბ.გ)იატაკის თბოგადაცემის Σ კოეფიციენტი უნდა გამოითვალოს იატაკის მასალების, მათ შორის, თბოსაიზოლაციო ფენების თბოგადაცემის კოეფიციენტით (U), გაუმთბარი სივრცეებისა და მიწის ზედაპირის გათვალისწინებით და უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილ 4-ში მოცემულ, იატაკის U-ს მნიშვნელობას შესაბამისი კლიმატური ზონისათვის.

მუხლი 7. შენობების კონსტრუქციის გარსის მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლების სხვა მოთხოვნები

1. შენობის კონსტრუქციული ელემენტების ენერგეტიკული მახასიათებლების მინიმალური მოთხოვნები დადგენილია შიგა კომფორტული პირობების უზრუნველსაყოფად, რათა თავიდან იქნეს აცილებული კონდენსაციის ან ზედაპირის დაბალი ტემპერატურის რისკი. შუქგაუმტარი გარე ელემენტების შიგა ზედაპირის ტემპერატურა არ უნდა ჩამოვიდეს, ცხრილ 5-ში მოცემული ნამის წერტილის შესაბამისი ტემპერატურის ქვემოთ.

ცხრილი 5. ნამის წერტილის ტემპერატურა როგორც ჰაერის ტემპერატურისა და ფარდობითი ტენიანობის ფუნქცია. მშრალი თერმომეტრის ჩვენება

ოთახის ჰაერის ტემპერატურა, (მშრალი-თერმომეტრის ჩვენება (DBT))°C	ნამის წერტილის ტემპერატურა(°C) ფარდობითი ტენიანობის დროს (%)													
	30	35	40	45	50	55	60	65	70	75	80	85	90	95
30	10,5	12,9	14,9	16,8	18,4	20,2	21,4	22,7	23,9	25,0	26,2	27,2	28,2	29,1
29	9,7	12,0	14,0	15,9	17,5	19,0	20,4	21,7	23,0	24,1	25,2	26,2	27,2	28,1
28	8,8	11,1	13,1	15,0	16,6	18,1	19,5	20,8	22,0	23,2	24,2	25,2	26,2	27,1
27	8,0	10,2	12,2	14,1	15,7	17,2	18,6	19,9	21,1	22,2	23,3	24,3	25,2	26,1
26	7,1	9,4	11,4	13,2	14,8	16,3	17,6	18,9	20,1	21,2	22,3	23,3	24,2	25,1
25	6,2	8,5	10,5	12,2	13,9	15,3	16,7	18,0	19,1	20,3	21,3	22,2	23,2	24,1
24	5,4	7,6	9,6	11,3	12,9	14,4	15,8	17,0	18,2	19,3	20,3	21,3	22,2	23,1
23	4,5	6,7	8,7	10,4	12,0	13,5	14,8	16,1	17,2	18,3	19,4	20,3	21,3	22,2
22	3,6	5,9	7,8	9,5	11,1	12,5	13,9	15,1	16,3	17,4	18,4	19,4	20,3	21,2
21	2,8	5,0	6,9	8,6	10,2	11,6	12,9	14,2	15,3	16,4	17,4	18,4	19,3	20,2
20	1,9	4,1	6,0	7,7	9,3	10,7	12,0	13,2	14,4	15,4	16,4	17,4	18,3	19,2
19	1,0	3,2	5,1	6,8	8,3	9,8	11,1	12,3	13,4	14,5	15,5	16,4	17,3	18,2
18	0,2	2,3	4,2	5,9	7,4	8,8	10,1	11,3	12,5	13,5	14,5	15,4	16,3	17,2
17	-0,6	1,4	3,3	5,0	6,5	7,9	9,2	10,4	11,5	12,5	13,5	14,5	15,3	16,2
16	-1,4	0,5	2,4	4,1	5,6	7,0	8,2	9,4	10,5	11,6	12,6	13,5	14,4	15,2
15	-2,2	-0,3	1,5	3,2	4,7	6,1	7,3	8,5	9,6	10,6	11,6	12,5	13,4	14,2
14	-2,9	-1,0	0,6	2,3	3,7	5,1	6,4	7,5	8,6	9,6	10,6	11,5	12,4	13,2
13	-3,7	-1,9	-0,1	1,3	2,8	4,2	5,5	6,6	7,7	8,7	9,6	10,5	11,4	12,2
12	-4,5	-2,6	-1,0	0,4	1,9	3,2	4,5	5,7	6,7	7,7	8,7	9,6	10,0	11,2



11	-5,2	-3,2	-1,8	-0,4	1,0	2,3	3,5	4,7	5,8	6,7	7,7	8,6	9,4	10,2
10	-6,0	-4,2	-2,6	-1,2	0,1	1,4	2,6	3,7	4,8	5,8	6,7	7,6	8,4	9,2

2. სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც დაკავშირებულია თბოიზოლაციასთან, უნდა შესრულდეს ტექნიკურად სწორად, რათა თავიდან ავიცილოთ ამინდის ზემოქმედება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს არასასურველი ეფექტი შენობის სტრუქტურის ხანმედეგობაზე:

ა) თბოიზოლაციო მასალების და თბოიზოლაციო სისტემების მონტაჟი უნდა შესრულდეს მწარმოებლის ინსტრუქციის შესაბამისად. სათავსის შიგა ზედაპირებზე საიზოლაციო მასალის მონტაჟი უნდა იქნეს მაქსიმალურად აცილებული;

ბ) ფანჯრების, კარების, პარაპეტების, სახურავის ყველა შეერთება და შენობის ყველა კომპონენტი, რომლებიც შეაღწევენ საიზოლაციო ფენაში (მეხამრიდები, სადრენაჟე მილები, გადამრთველების ყუთები და ა.შ. ასევე, მათი ჩამრთველები) უნდა იყოს შესრულებული შესაბამისი შემაერთებელი პროფილებით და უნდა იყოს ჰერმეტიზირებული;

გ) გარე ფანჯრების/კარების ჩარჩოს/რაფას და ღიობებს შორის საიზოლაციო ფენა უნდა დამონტაჟდეს ღრუების გარეშე. დაფარვის პერიმეტრი უნდა იყოს ჰერმეტიზირებული, ორთქლშეუღწევადი (შიგნით) და ორთქლშეღწევადი (გარეთ) /საიზოლაციო ფირით (მემბრანით);

დ) სახურავის შეერთებები უნდა იყოს თბოიზოლირებული, ღრეჩობის გარეშე;

ე) სახურავის თბოიზოლაციისათვის გამოყენებული საიზოლაციო მასალები, რომლებიც მონტაჟდება სახურავის კონსტრუქციაზე ან ანაკრები სახურავის თავზე შეირჩევა სამშენებლო მასალების და მათი ურთიერთკომბინაციის საფუძველზე, რამაც უნდა დააკმაყოფილოს სახურავის თბოგადაცემის კოეფიციენტი-U ცხრილ 3-სა და ცხრილ 4-ში მოცემული მოთხოვნებით;

ვ) იზოლაცია, რომელიც კეთდება სარდაფის გარე კედლებზე და არსებული იატაკის ფილების (ფილა მიწაზე) მთელ პერიმეტრზე, უნდა იყოს შესრულებული მყარი, წყალმდეგი მასალით და შესაძლებელია დაიფაროს ატმოსფერული ნალექის ზემოქმედებისაგან დამცავი ფენით, რათა დაიცვას იზოლაცია დაზიანებისაგან. დამცავმა ფენამ უნდა დაფაროს დაუცველი გარე იზოლაცია არანაკლებ 0.70 მეტრით მიწის ზედაპირის ზემოთ და არანაკლებ 0.80 მეტრი მიწის ზედაპირის ქვემოთ.

მუხლი 8. შენობის თერმული გარსის ჰერმეტიულობის მოთხოვნები

1. შენობის თერმული გარსის ჰერმეტიულობა უნდა შეესაბამებოდეს ცხრილ 6-ში მოცემულ მნიშვნელობებს და საჭიროა ჩატარდეს ჰაერის შეღწევადობის ტესტი 50 პა (n_{50}) წნევის სხვაობის პირობებში.

ცხრილი 6. მაქსიმალურად დასაშვები ჰაერის გაჟონვა 50 პა, n_{50} [h^{-1}] წნევის პირობებში

კლიმატური ზონა	ზონა 1	ზონები 2 და 3
შენობის კატეგორია	n_{50} [$სთ^{-1}$]	n_{50} [$სთ^{-1}$]
1. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები; 2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.	≤4,0	≤3,0
ყველა სხვა კატეგორია 3-9	≤3,0	≤2.5



2. სუფთა ჰაერის რაოდენობა, რომელიც მიეწოდება შენობას, უნდა აკმაყოფილებდეს შიგა სათავსის ჰაერის ხარისხის მოთხოვნას ენ 16798-1 სტანდარტის შესაბამისად ან არსებული საპროექტო მოთხოვნებით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს დამატებითი ვენტილაციით (ხელით მართვადი ან ავტომატურად მართვადი საშუალებები, რომლებიც შესაძლებელია მოიცავდეს მაგ., სავენტილაციო არხებს, ფანჯრებს გადმოკიდების შეღება/გაღების მექანიზმით, ფანჯრებს ჰაერის მცირე ნაკადის ვენტილაციით, ან მექანიკური სავენტილაციო მოწყობილობებით/სისტემებით ან მათი კომბინაციით. მაგალითად, ჰიბრიდული (შერეული რეჟიმის) ვენტილაცია). დამატებითი გარე ჰაერი, რომელიც საჭიროა სანთურიანი მოწყობილობების ფუნქციონირებისთვის, ცალკე არის გათვალისწინებული.

3. შენობის გარსის ჰერმეტიულობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი დასაგმანი შემამჭიდროველები მასალების გამოყენებით, რომლებიც შემჭიდროვეულია და ერთმანეთთან დაკავშირებულია აწყობის დროს და მთლიანობაში შეადგენს შენობის გარსს.

4. ჰერმეტიული შეერთებები უსაფრთხოდ უნდა იყოს დამონტაჟებული და გადაწყვეტილი, რათა გაუძღონ დადებით და უარყოფით წნევის ცვალებადობას, მაგალითად, ქარს და ტემპერატურულ დეფორმაციებს.

5. ნებისმიერი რაოდენობის ჰაერის შეღწევა, რაც არღვევს შენობის გარსის ჰერმეტიულობას, აღმოფხვრილი უნდა იყოს დასაგმანი ან შემამჭიდროველები მასალებით.

მუხლი 9. მოთხოვნები მზის დამჩრდილავი და მზისგან დამცავი მოწყობილობებისათვის

1. შენობაში განთავსებულ სათავსებს უნდა მიეწოდებოდეს სსტ ენ 17037 სტანდარტის ნორმით გათვალისწინებული ჯეროვანი რაოდენობის დღის სინათლე. ფანჯრები ისე უნდა დამონტაჟდეს და განთავსდეს, რომ მათზე დამაგრდეს სათანადო მზის დამჩრდილავი და მზისგან დამცავი მოწყობილობები, რათა ფანჯრის მინიდან შემოდღეულმა მზის სინათლემ არ გამოიწვიოს ოთახის გადახურება.

2. მზის დამჩრდილავი და მზისგან დამცავი გარე ეკრანები, მოძრავი მოწყობილობებით მოიცავს სხვადასხვა გასათვალისწინებელ გადაწყვეტილებას.

3. როგორც ალტერნატივა, შესაძლებელია მზის სხივის მარეგულირებელი მინის გამოყენება, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ასეთი მინა მზის სითბოს ნაკადის შეღწევას ამცირებს იმ პერიოდის განმავლობაშიც, როდესაც მზის სითბოს ნაკადი სასარგებლოა (წელიწადის ცივი სეზონების დროს).

4. მზის სითბოს ნაკადის შეზღუდვისათვის საჭირო ზომები არ უნდა განხორციელდეს სათავსის მინიმალური დღის სინათლის ნორმების დარღვევით (ბუნებრივი განათება).

მუხლი 10. ემისიის და განაწილების სისტემის მოთხოვნები საინჟინრო-ტექნიკური სისტემების საპროექტო და სამონტაჟო სამუშაოებისთვის, ახალი შენობებისთვის და არსებული შენობების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისთვის.

1. ინდივიდუალური ოთახის/ზონის მოწყობილობის ემისიის/სისტემის მართვა – ნებისმიერი ემისიის გამოფრქვევის წყარო, რომელიც გამოიყენება თერმული მართვის სტრატეგიისთვის, უნდა იყოს აღჭურვილი მართვის მოწყობილობებით, რომლებსაც შეუძლიათ შეამცირონ ტემპერატურის ცვალებადობა და გადახრა. გამოიყენება ყველა ტიპის შენობისათვის (იხ. ცხრილი 1).

2. რადიატორების და კონვექტორების შერჩევა, შენობებში აღჭურვილი ჰიდრავლიკური ემისიის სისტემებით, უნდა მოხდეს ისე, რომ აკმაყოფილებდეს შემდეგ ნორმების მოთხოვნებს: სსტ ენ 442-1 „რადიატორები და კონვექტორები – ნაწილი 1.: ტექნიკური სპეციფიკაციები და მოთხოვნები და სსტ ენ 442-2 „რადიატორები და კონვექტორები – ნაწილი 2.: ტესტირების მეთოდები და შეფასება“. თითოეული ემიტორი უნდა იყოს აღჭურვილი მექანიკური ჩამკეტი სარქველით ანდა თერმოსტატული



რეგულატორით, მაგალითად, რადიატორის თერმოსტატული სარქველით (TRV) სსტ ენ 215-ის მიხედვით ან ავტომატიზირებული ამძრავიანი სარქველით. გამოიყენება ყველა ტიპის შენობისთვის (იხ. ცხრილი 1).

3. ახალ შენობებში, განაწილების დანაკარგების შემცირების მიზნით, იძულებითი ცირკულაციის კონვექციური ჰიდრავლიკური გათბობის სისტემები უნდა დაპროექტდეს განაწილების სისტემის შესასვლელთან თბოგადამტანის მაქსიმალური ტემპერატურით 60°C. გარემოს ტემპერატურის გათვალისწინებით, დასაშვებია ნაკადის მიწოდების ტემპერატურის დაწვევა და საპროექტო ტემპერატურად ამ შემთხვევაში რეკომენდირებულია 55/45°C. თბოგადამტანის უფრო მაღალი, მაქსიმალური ტემპერატურა ნებადართულია იმ გათბობის სისტემებისთვის, რომლებიც აღჭურვილია ოთახის ჰიდრავლიკური ფანკოილით, ინდუქციური გამათბობლებით და ჰაერის გამათბობლებით. ამის საჭიროება დგინდება დაპროექტების დროს. გამოიყენება ყველა კატეგორიის შენობისათვის (იხ. ცხრილი 1).

4. ამ მუხლის პირველი, მეორე და მესამე პუნქტებით გათვალისწინებული პირობები, უნდა შესრულდეს იძულებითი ცირკულაციის კონვექციური ჰიდრავლიკური გათბობის სისტემების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის ან განახლების შემთხვევაშიც, თუ ეს ტექნიკურად დასაშვებია და მიღწევადია საპროექტო ეფექტურობა. იმ შემთხვევებში, თუ გამოთვლები ვერ დაასაბუთებს ასეთი გადაწყვეტილებების გამოყენების შედეგებს, მაშინ დაპროექტებისთვის გამოყენებული იქნება არსებული სისტემის პარამეტრები. გამოიყენება ყველა კატეგორიის შენობისათვის (იხ. ცხრილი 1).

5. დაპროექტებულმა გამანაწილებელმა ქსელმა უნდა მოამარაგოს თითოეული ინდივიდუალური მოწყობილობა/ზონა თბოგადამტანის ისეთი რაოდენობითა და პარამეტრებით, რომ ოთახის საპროექტო ტემპერატურა იყოს მიღწეული მინიმალური ენერგომომხმარებით. გარე ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის კომპენსაცია უნდა იყოს გათვალისწინებული გამანაწილებელი ქსელის დაპროექტების დროს, თუ ეს არ არის გათვალისწინებული სითბოს გენერაციის დონეზე. გამოიყენება ყველა კატეგორიის შენობისათვის (იხ. ცხრილი 1).

6. მინიმალური მოთხოვნა ემისიის და/ან განაწილების სისტემის ავტომატური მართვის მიმართ არის შიგა ჰაერის ტემპერატურის დაწვევა და მუშაობის პერიოდის შემცირება ფიქსირებული დროის პროგრამის მიხედვით. ნებადართულია ერთი კონტროლერის გამოყენება სხვადასხვა ოთახისთვის/ზონისთვის, რომლებსაც აქვთ გამოყენების თანაბარი პირობები და გრაფიკი. ემისიის და/ან განაწილების სისტემის ავტომატური მართვა ოპტიმალური გაშვება/გაჩერების მეთოდით (შიგა ტემპერატურის დაწვევისათვის და მუშაობის პერიოდის შემცირებისთვის) რეკომენდებულია შენობების 3-დან 9-მდე კატეგორიებისათვის (ცხრილი 1).

7. გათბობის ან გაგრილების გამანაწილებელი სისტემის თითოეული განშტოება აღჭურვილი უნდა იყოს ჩამკეტი და მარეგულირებელი (სასურველია ავტომატური) სარქველებით. მარეგულირებელი სარქველი წნევის ვარდნის მართვის მიხედვით ჰიდრავლიკურად უნდა აბალანსებდეს სისტემას.

8. გათბობის და გაგრილების სისტემის გამანაწილებელ მილებს უნდა ჰქონდეს თბოიზოლაცია, რომლის თბოგამტარობის კოეფიციენტი ტოლია ან ნაკლები ცხრილ 7-ში მოცემულ მოთხოვნებთან შედარებით. თუ ცივი წყლის და გაგრილების სისტემის მილებისა და ჰაერსატარების თბოიზოლაციისათვის ღია ფოროვანი საიზოლაციო მასალებია გამოყენებული, კონდენსატის თავიდან ასაცილებლად ისინი გარედან უნდა იყოს დაფარული დამცავი მასალის ფენით, რომელიც ორთქლისგან დამცავი ბარიერის მოვალეობას შეასრულებს.



9. საიზოლაციო მასალებს უნდა გააჩნდეს სითბოსა და ტენიანობის ზემოქმედების მიმართ მდგრადობა, მექანიკური სიმტკიცე და გამოყენებისა და რემონტის დროს ადვილად მისადგომი უნდა იყოს. ყველა ვერტიკალურ დგარზე სამონტაჟო შახტებში და ყველა განშტოებაზე დგარიდან იატაკამდე სითბოს გამომყოფ პანელებამდე (დამაკავშირებელი ყუთები) ასევე გამანაწილებელი მილების ყველა მონაკვეთზე, როდესაც:

- ა) გათბობის გამანაწილებელი მილები დამონტაჟებულია გაუმთბარ ოთახებში, ზონებში, შენობაში ან გარეთ;
- ბ) არსებობს თბოგადამტანის ან გამაგრილებლის გაყინვის რისკი;
- გ) გათბობის გამანაწილებელი მილები დამონტაჟებულია იძულებით გაგრილების ოთახებში, ზონებში ან შენობაში;
- დ) აუცილებელია თბოდანაკარგების შეზღუდვა და თბოგადამტანის ან გამაცივებლის გარკვეული ტემპერატურის შენარჩუნება მიწოდების დროს;
- ე) დამონტაჟებულია ოთახებში, სადაც ცხელი ზედაპირების არსებობა მიუღებელია;
- ვ) დამონტაჟებულია ოთახებში, სადაც არსებობს გადახურების საშიშროება;
- ზ) თბოგადამტანის ტემპერატურა 80°C-ზე მეტია და ადამიანები, ცხოველები და მცენარეები შეიძლება იყვნენ კონტაქტში ცხელ ზედაპირებთან;

ცხრილი 7. საიზოლაციო მასალის ფენის მინიმალური სისქის მოთხოვნები გამანაწილებელი სისტემის მილების, გადამყვანებისა და ფასონური ნაწილებისათვის.

რიგი №	მილსადენი, გადამყვანი, ფასონური ნაწილის ტიპი.	საიზოლაციო მასალის ფენის მინიმალური სისქე, როდესაც თბოგამტარობის კოეფიციენტი $\lambda < 0,04$ ვტ/(მ.კ)
1	შიგა დიამეტრი 22 მმ-ის ჩათვლით	20 მმ
2	შიგა დიამეტრი 22 მმ-დან – 35 მმ-ის ჩათვლით	30 მმ
3	შიგა დიამეტრი 35 მმ-დან – 100 მმ-ის ჩათვლით	შიგა დიამეტრის ტოლია
4	შიგა დიამეტრი 100 მმ-ზე მეტია	100 მმ
5	მილები, გადამყვანები და ფასონური ნაწილები, პუნქტი № 1-დან – 4-მდე, იმ შემთხვევაში, როდესაც გადის კედლებისა და ჭერის სივრცეში, მილების გადაკვეთის წერტილებში, მილის ძირითად გამანაწილებელ მაგისტრალთან მიერთების ადგილებში	1/2 მოთხოვნა პუნქტი №1 – 4-მდე
6	სითბოს გამანაწილებელი მილები, პუნქტი №1-დან – 4-მდე, სამშენებლო კონსტრუქციებში სხვადასხვა მომხმარებლების გამთბარ ოთახებს შორის	1/2 მოთხოვნა პუნქტი №1 – 4-მდე
7	მილები მე-6 პუნქტის შემდეგ, იატაკში	6 მმ
8	მოდინებითი სავენტილაციო დანადგარების და ჰაერის კონდიციონერების სისტემის სიცივის გამანაწილებელი მილები, გადამყვანები და ფასონური ნაწილები; ცივი წყალმომარაგების მილები, გადამყვანები და ფასონური ნაწილები.	10 მმ



10. საიზოლაციო მასალის ფენის გამოყენების მიზნისა და ადგილის გათვალისწინებით, იზოლაცია უნდა დაიფაროს დამცავი საფარით საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით, რათა დაცული იყოს მექანიკური, ქიმიური და სხვა ზემოქმედებისგან და ასევე, მისი ესთეტიკური სახის გამოც.

11. ფოლადის გამანაწილებელი მილსადენი მიმდებარე გარემოს აგრესიულობის გათვალისწინებით დაცული უნდა იყოს კოროზიისგან.

12. გამანაწილებლები, ვენტილები, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების ჰაერსატარები, ცხელი წყლის გამომუშავებისა და შესანახი დანადგარები, საწვავის ავზები და სხვა მოწყობილობები, რომელთა გამოიყენება ზეგავლენას ახდენს შენობის ენერგომოხმარებაზე, მაგალითად: გათბობის, გაგრილების, ვენტილაციისა და ჰაერის კონდიციონირების სისტემები, უნდა შეიფუთოს იზოლაციით, რათა თავიდან იყოს აცილებული თერმული ხიდეები ან კონდენსატის ფორმირება ზედაპირებზე.

მუხლი 11. ყველა სახის ტუმბოსა და ცირკულატორისთვის განსაზღვრული მოთხოვნები

1. ყველა სახის ტუმბო და ცირკულატორი უნდა იყოს აღჭურვილი ჩართვა/გამორთვის მაკონტროლებლით, რათა, შეძლებისდაგვარად, შეამციროს ტუმბოების ზედმეტი ენერჯის მოთხოვნა.

2. ავტონომიურ ან დანადგარებში ინტეგრირებული ჩოხალის გარეშე ცირკულატორი ექვემდებარებიან ენერგოეფექტურობის ინდექსს (EEI) $\leq 0,27$, რომელიც დადგენილია ან გამოანგარიშებულია ევროკავშირის კომისიის რეგულაციისა (EU) No 622/2012 და 2012 წლის 11 ივლისის ცვლილებების 641/2009 შესაბამისად, რომელიც მოიცავს ეკოდიზაინის მოთხოვნებს ავტონომიურ ან დანადგარებში ინტეგრირებული ჩოხალის გარეშე ცირკულატორისთვის ს(ცვლილებების რეგულაცია 641/2009). ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო დამატებით შეიმუშავებს ეკოდიზაინის მოთხოვნებთან დაკავშირებულ სამართლებრივ აქტს.

3. იმ შემთხვევაში, თუ ცენტრალური გათბობის სისტემების ზონებში გამოყენებულია თერმოსტატიკური მართვა, მაშინ გათბობის სისტემის ტუმბოები/ტუმბოების ჯგუფები უნდა იყოს ცვლადი ბრუნთა რიცხვის (VSD), ცვლადი სიჩქარის/სიხშირის რიცხვის ან 3 სიჩქარიანი ტუმბოთი, ნაკადის სიჩქარის მართვით ცირკულატორისთვის მოთხოვნების შესაბამისი წარმადობით).

4. ტუმბოებისთვის რეკომენდირებული მუშაობის რეჟიმი: წნევის ვარდნისადმი პროპორციული რეჟიმი; ბრუნთა რიცხვის რეგულირების რეჟიმი; რბილი გაშვება; სიმძლავრის უწყვეტი რეგულირება სამუშაო რეჟიმის მიხედვით.

მუხლი 12. გათბობის სისტემასთან დაკავშირებული მოთხოვნები – სითბოს წარმოება ან მიწოდება

1. ახალი შენობებისთვის და არსებული შენობების მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციისთვის მყარ საწვავზე მომუშავე გათბობის ქვაბების მარგი ქმედების კოეფიციენტი (მ.ქ.კ) არ უნდა იყოს 80% -ზე ნაკლები.

2. 70 კვტ-ის ტოლი ან ნაკლები ნომინალური თბური სიმძლავრის გათბობის სისტემის გამათბობლების, კომბინირებული და მზის გამათბობლების, მათი კომბინაციების ტემპერატურის მართვა, (EU) რეგულაციის 811/2013 შესაბამისად, უნდა იყოს მინიმუმ B კლასის ან უკეთესი.

3. 70 კვტ-ზე მეტი ნომინალური თბური სიმძლავრის ელექტროკომპრესორებიანი თბური ტუმბოების ეფექტურობის მოთხოვნები განისაზღვრება შემდეგნაირად: COP > 3,1 და EER $\geq 2,65$.

შენიშვნა: COP და EER უნდა გაიზომოს სტანდარტის შემდეგი ნაწილების – სსტ ენ 14511-1:2018, სსტ ენ 14511-2:2018, სსტ ენ 14511-3:2018, სსტ ენ 14511-4:2018 პროცედურების შესაბამისად. სსტ ენ 14511-3:2018 – „სათავსის გათბობის და გაგრილების ჰაერის კონდიციონერები, გაგრილების დანადგარები თხევადი სიცივის გადამტანი და თბური ტუმბოები ელექტროკომპრესორებით“ ნაწილი 3 „სატესტო



მეთოდები“ სტანდარტული პირობებისთვის. ზემოთ აღნიშნული მითითებულია შესაბამისად სტანდარტის ნაწილში: სსტ ენ 14511-2:2018 „სატესტო პირობები“, რომელიც ეფუძნება ტერმინებს, განმარტებებს და მოთხოვნებს, რომელიც მითითებულია სტანდარტის ნაწილში: სსტ ენ 14511-1:2018 „ტერმინები და განმარტებები“ და სტანდარტის ნაწილში: სსტ ენ 14511-4: 2018 „მოთხოვნები“;

4. 70-დან 400 კვტ-ის ნომინალური თბური სიმძლავრის პირობებში, თხევად ან ბუნებრივი აირის საწვავზე მომუშავე გათბობის ქვაბების ეფექტურობის მინიმალური მოთხოვნა შემდეგნაირია.

ცხრილი 8. თხევად საწვავზე, ან გაზზე მომუშავე ქვაბების წარმადობის ეფექტურობის მოთხოვნები

ეფექტურობის მოთხოვნა ნომინალური სიმძლავრის Pn და ქვაბის წყლის საშუალო ტემპერატურის 70 ⁰ C-ის დროს	ეფექტურობის მოთხოვნა 30% Pn ნაწილობრივი დატვირთვით და ქვაბის წყლის საშუალო ტემპერატურის $\geq 50^0$ C -ის დროს
$\geq 90 + 2 \log Pn$	$\geq 86 + 3 \log Pn$

5. 13.4-ში მოცემული მოთხოვნები ეფუძნება ევროსაბჭოს დირექტივას 92/42/EEC. თითოეული შემთხვევისთვის – სივრცის გასათბობი ორგანულ სათბობზე მომუშავე ქვაბისთვის, კომბინირებული გამათბობელი ორგანულ სათბობზე მომუშავე ქვაბისთვის, სივრცის გამათბობელი ელექტროქვაბისთვის, კომბინირებული გამათბობელი ელექტროქვაბისთვის, თანაგენერაციის სივრცის გამათბობლებისთვის, სივრცის გამათბობელი თბური ტუმბოსთვის, კომბინირებული გამათბობელი თბური ტუმბოსთვის, დაბალი ტემპერატურის თბური ტუმბოსთვის – მოთხოვნები უნდა იყოს შესაბამისობაში ეკო-დიზაინის მოთხოვნებთან (ევროკომისიის (EU) No 813/2013 რეგულაცია ეკო-დიზაინის შესახებ პარაგრაფი 1) და გათვალისწინებული უნდა იყოს მოთხოვნები მინიმალური ენერგეტიკული მახასიათებლებისთვის.

6. 1 და 2 კლიმატური ზონებში აშენებული შენობებისთვის, რომელთაც ესაჭიროებათ გათბობა, გაგრილების გენერატორები უნდა იყოს რევერსული, თბური ტუმბოს რეჟიმით.

7. ნებისმიერ შენობაში გამოყენებული გენერაციის სისტემა, უნდა იყოს აღჭურვილი მართვის სისტემით, რომელიც ითვალისწინებს ამ გენერაციის სისტემის სულ მცირე ერთი კონდიციონირებული სივრცის შიგა ტემპერატურის მართვას.

8. გენერატორის მართვა, ნებისმიერ შემთხვევაში, უნდა ხორციელდებოდეს ტემპერატურის მართვით, გარე ჰაერის ტემპერატურის ცვალებადობის გათვალისწინებით.

მუხლი 13. მოთხოვნები ცხელწყალმომარაგების სისტემებისათვის

1. წყლის გასაცხელებელი დანადგარების, მზის კოლექტორების, რომელთა ნომინალური თბური სიმძლავრის ≤ 70 კვტ, ცხელი წყლის შესანახი ავზების, რომელთა მოცულობა ≤ 500 ლიტრზე, ეფექტურობა ევროკომისიის მიერ დელეგირებული (EU) No 812/2013 რეგულაციის შესაბამისად, ცხრილი 1, ცხრილი 2-ისა და დანართი II მიხედვით უნდა იყოს მინიმუმ C კლასის ან უკეთესი.

2. გათბობის ყველა გენერატორისთვის, რომლის სიმძლავრე მეტია 70 კვტ-ზე, უნდა აკმაყოფილებდეს ამ დადგენილების მე-12 მუხლის პირველი, მე-3-მე-5 პუნქტების მოთხოვნებს.

3. ცხელი წყლის ნებისმიერ გამანაწილებელ სისტემაში, ცხელი წყლის მილსადენი უნდა იყოს იზოლირებული: მინიმალური საიზოლაციო მოთხოვნები მოცემულია ცხრილ 7-ში.

4. ახალი არასაცხოვრებელი შენობებისათვის, კლიმატურ ზონა 1-ში მინიმუმ 40% და კლიმატურ ზონა 2-ში მინიმუმ 30% ცხელწყალმომარაგების სისტემისათვის მოთხოვნილი ენერგია უნდა გამომუშავდეს განახლებადი ენერგიის წყაროებიდან, (მაგ., მზის თერმული კოლექტორებით), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ამის განხორციელება შეუძლებელია.



5. ცხელწყალმომარაგების სისტემები ისე უნდა დაპროექტდეს, რომ ცხელ წყალში ლეგიონელა ბაქტერიების ზრდის რისკი იყოს აღმოფხვრილი.

6. ახალ შენობებში და არსებულ შენობებში მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის დროს ცხელწყალმომარაგების სისტემის ავტომატური მართვა რეკომენდებულია აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ცხრილი 9. ცხელი წყლის მომარაგების სისტემის ავტომატური მართვა

მართვის გამოყენება	მართვის მოწყობილობის მინიმალური ფუნქცია
ცხელი წყლის შენახვის ტემპერატურის მართვა ინტეგრირებული ელექტრონული გათბობით ან ელექტროთბური ტუმბოთი	ყველა კატეგორიის შენობისთვის: ავტომატური მართვის ჩართვა/ გამორთვა და სამუშაო დროის მართვის პროგრამა (მაგ: გამორთვა-პიკის საათებში, ღამით, უქმე დღეებში და ა.შ.)
ცხელი წყლის შენახვის ტემპერატურის მართვა თბოგენერაციის გამოყენებით <i>შენიშვნა: თბოგენერაცია – ქვაბები (რომლებიც მუშაობენ სხვადასხვა ტიპის საწვავზე), თბური ტუმბო, მზის ენერჯია, რაიონული ცენტრალური გათბობა, CHP – კომბინირებული სითბოს და ენერჯის გენერატორები</i>	ყველა კატეგორიის შენობისთვის: ავტომატური მართვის ჩართვა/ გამორთვა და სამუშაო დროის მართვის პროგრამა (მაგ: გამორთვა – პიკის საათებში, ღამით, უქმე დღეებში და ა.შ.)
ცხელი წყლის შენახვის ტემპერატურის მართვა, ცვალებადი სეზონის მიხედვით: თბოგენერაციის გამოყენებით ან ინტეგრირებული ელექტრო გათბობით	ყველა კატეგორიის შენობისთვის: ავტომატურად შერჩეული მართვა მკვებავი ტუმბოს ჩართვა/ გამორთვით ან ელექტროენერჯით გათბობა და მართვის პროგრამა (მაგ: გამორთვა – პიკის საათებში, ღამით, უქმე დღეებში და ა.შ.)
ცხელი წყლის შენახვის ტემპერატურის მართვა მზის კოლექტორითა და თბოგენერაციის გამოყენებით	ყველა კატეგორიის შენობისთვის: მზის ენერჯის აკუმულაციის და დამატებითი სითბოს წარმოების წყაროს ენერჯის აკუმულაციის ავტომატური მართვა: <i>(მზის ენერჯის აკუმულაცია: მკვებავი ტუმბოს ჩართვა/ გამორთვის მართვა ცხელი წყლის შენახვის მაქსიმალური ტემპერატურის მისაღწევად უფასო მზის ენერჯის მიწოდების დროს. მზის კოლექტორიდან ხდება პრიორიტეტული ენერჯის მიწოდება)</i> <i>(დამატებითი სითბოს წარმოების წყაროს ენერჯის აკუმულაციის მართვა:</i> <i>დამატებითი სითბოს წარმოებისას, ენერჯის მიწოდება აკუმულაციისთვის ხდება ცხელი წყლის შენახვის ნომინალურ ტემპერატურაზე დაბლა დაწვევის შემთხვევაში. დამატებითი სითბოს წარმოების წყაროს ენერჯის პრიორიტეტი მეორადია).</i>
ცხელი წყალმომარაგების სისტემის მართვა ცირკულატორით (უწყვეტი მუშაობა დროის მიხედვით გადართვის მართვის პროგრამით ან მოთხოვნაზე ორიენტირებული მართვის ჩართვა/ გამორთვით)	ყველა კატეგორიის შენობისთვის: დროის მიხედვით გადართვის პროგრამით

მუხლი 14. გაგრილების და ჰაერის კონდიციონირების სისტემებთან დაკავშირებული მოთხოვნები

1. 12 კვტ-ზე ნაკლები სიცივის წარმადობის ჰაერის კონდიციონირების სისტემების ეფექტურობა, (EU) კომისიის რეგულაციის 626/2011 (ჰაერის კონდიციონირების ენერგოეფექტურობის ეტიკეტირება) მიხედვით, უნდა იყოს მინიმუმ B კლასის ($4,60 \leq SEER < 5,10$ and $3,10 \leq SCOP < 3,40$), ან უკეთესი.

2. 12 კვტ-ზე მეტი სიცივის წარმადობის ჰაერის გაგრილების სისტემის (მარტო სიცივის გენერატორებისთვის) ეფექტურობის მინიმალური მოთხოვნა არის $EER > 3,0$, რომელიც ტესტირებულია სტანდარტის შემდეგი ნაწილების გათვალისწინებით, როგორცაა: სსტ ენ 14511-1:2018, სსტ ენ 14511-2: 2018, სსტ ენ 14511-3:2018, სსტ 14511-4:2018 „სათავის გათბობის და გაგრილების ჰაერის კონდიციონირები, გაგრილების დანადგარები (სიცივის თხევადი გადამტანებით) და თბური ტუმბოები



ელექტროკომპრესორებით“ დებულების მიხედვით.

3. გაგრილების სისტემის ავტომატური მართვა აწარმოებს კონდიციონერული სივრცის შიგა ტემპერატურის რეგულირებას.

4. გამანაწილებელი სისტემის თბოიზოლაცია უნდა აკმაყოფილებდეს ცხრილ 7-ში მითითებულ მოთხოვნებს.

5. როდესაც გაგრილების გენერატორი დამონტაჟებულია კლიმატურ ზონა 1 ან 2-ში, გენერატორი უნდა იყოს რევერსული – თბური ტუმბოს რეჟიმით და უნდა იყოს გამოყენებული როგორც პირველადი ენერჯის წყარო.

6. ღამის განმავლობაში შესაძლებელია გარე ჰაერის საშუალებით ვენტილაცია გამოყენებული იყოს სათავსის გაგრილების მიზნით ტექნიკური პირობების არსებობისას. გარე ჰაერის ნაკადის სიჩქარემ უნდა მიაღწიოს მაქსიმუმს, როდესაც ფართობი არ არის დაკავებული იმ პირობით, რომ:

- ა) შიგა ტემპერატურა აღემატება ამ პერიოდში გაგრილების მითითებულ ტემპერატურას;
- ბ) შიგა ტემპერატურასა და გარე ტემპერატურებს შორის სხვაობა არის მოცემული ლიმიტის ზემოთ;
- გ) ღამის საათებში გაგრილება ხორციელდება ბუნებრივად, გაღებული ფანჯარებიდან, ამ შემთხვევაში, ჰაერის ნაკადის მართვა არ არის საჭირო.

7. ახალ შენობებში და მნიშვნელოვანი რეკონსტრუქციის დროს არსებულ შენობებში გაგრილების სისტემების ავტომატური მართვა რეკომენდებულია ითვალისწინებდეს შემდეგ მოთხოვნებს:

ცხრილი 10. გაგრილების სისტემის ავტომატური მართვა

მართვის გამოყენება	მართვის მოწყობილობის მინიმალური ფუნქცია
ემისიის მართვა (მართვის სისტემა დამონტაჟებულია ემიტერზე ან ოთახში. საცხოვრებელი სახლებისთვის ერთი სისტემა შეიძლება იყოს გამოყენებული რამდენიმე ოთახისთვის)	საცხოვრებელი შენობებისთვის: ცენტრალური ავტომატური მართვა – ცენტრალური ავტომატური მართვის სისტემა, რომელიც მართავს განაწილებას და გენერაციას. არასაცხოვრებელი შენობებისათვის: ოთახის ინდივიდუალური მართვა (თერმოსტატული ვენტილებით ან ელექტრონული კონტროლერით)
განაწილების ქსელის მიწოდების ან დაბრუნების ცივი წყლის ტემპერატურის მართვა. (მსგავსი ფუნქცია შეიძლება გამოყენებული იყოს ინდივიდუალური ოთახის ელექტროგაყვანილობის სისტემების მართვისთვის (მაგალითად, გაგრილების მონობლოკი, გათბობა-გაგრილების სპლიტ სისტემა)	ყველა კატეგორიის შენობისთვის: გარე ტემპერატურის მაკომპენსირებელი მართვა (ნაკადების საშუალო ტემპერატურის გაზრდა, როდესაც გარე ტემპერატურა კლებულობს და პირიქით)
